

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. წარმოდგენილი ნარკვევი იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები

შესავალი

საქართველოში 2009 წლიდან აქტიურად დაიწყო ელექტროგადამცემი ხაზების (ეგხ) მშენებლობისა თუ რეკონსტრუქციის პროექტების განხორციელება. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის თანახმად, ამ პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ელექტროენერჯის მიწოდებისა და მომსახურების გაუმჯობესებას, ასევე მდგრადობისა და საიმედოობის გაზრდას, ახალი სიმძლავრეების ათვისებას, საქართველოს, როგორც რეგიონული ცენტრის დამკვიდრებას და სატრანზიტო პოტენციალის რეალიზებას.

2009 წლიდან პერიოდულად დაიწყო იმ ექვსი პროექტის განხორციელება, რომელთა შესწავლაც მოხდა კვლევის ფარგლებში. ესენია:

1. შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადამცემის პროექტი - 500კვ და 400კვ ხაზის მშენებლობა;
2. გარდაბანში ქვესადგური BP-ჯანდარა 110კვ-ის და 110კვ ეგხ „ბიპის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი;
3. 110კვ-იანი ეგხ „დარიალი“-ს 220კვ-იან გაბარიტებში რეკონსტრუქციის პროექტი;
4. ახალციხე-ბათუმის 220კვ-იანი ეგხ-ს მშენებლობის პროექტი;
5. ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ქსელის 500/220კვ ქვესადგურის ეგხ-ების მშენებლობის პროექტი;
6. 500კვ ქსანი-სტეფანწმინდას ეგხ-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი.

ნარკვევაში განხილულია ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების საკითხები, გადამცემი ხაზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების განხორციელების არსებული პრაქტიკის სისტემური პრობლემები. აგრეთვე, წარმოჩენილია კანონმდებლობის ნაკლოვანებები, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების განხორციელების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პერიოდში „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ჩაანაცვლა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა“ (ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან). თუმცა, ნარკვევაში განხილული პრობლემები კოდექსის ამოქმედების შედეგად არ მოგვარებულა. ასევე, არ შეცვლილა პროექტების განხილვისა და განხორციელების პრაქტიკა.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები

მაღალი ძაბვის (35კვ და მეტი) საჰაერო და საკაბელო ელექტროგამდამცემი ხაზების გაყვანა, ასევე ქვესადგურის (110კვ-ისა და მეტი ძაბვის) განთავსება ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას, აქედან გამომდინარე საქმიანობის განმხორციელებელი ვალდებულია, გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად ჩაატაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გადამცემი ხაზების პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების შედგენისას ირღვეოდა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ შესახებ დებულება. აგრეთვე, შესწავლილი პროექტების მნიშვნელოვანი ნაკლია, რომ გზმ ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას:

1. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ყველა შესაძლო წყაროს შესახებ;
2. ზემოქმედების ხასიათსა და ხარისხის შესახებ;
3. გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური შედეგების ინტეგრირებულ შეფასებას.

ხშირად, ბუნდოვანი და უცნობია პროექტის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლებიც კი, როგორცაა - ანძების რიცხვი და მათი განთავსების ადგილი. შესაბამისად, არ ხდება გარემოზე მავნე ზემოქმედების აცილება ან შემცირება.

არასრულყოფილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები

გადამცემი ხაზების პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესთან დაკავშირებულ ცუდ პრაქტიკასა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნათა დარღვევაზე მეტყველებს ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობის პროექტი, რომლის გზმ ანგარიში მომზადებულია „პროექტირებისა და მშენებლობის“ (Design and Built) პრინციპის შესაბამისად. ეს გულისხმობს, გადამცემი ანძებისა და დამხმარე ნაგებობების (მისასვლელი გზები, სამშენებლო ბანაკები) განთავსების ადგილის დაზუსტებას, მას შემდგომ, რაც კონტრაქტორი მიიღებს გადამცემი ხაზის მშენებლობის განხორციელების ნებართვას. შესაბამისად, გზმ დოკუმენტი არ მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

კვლევაში განხილულ პროექტებში (გარდა ბიპი-ჯანდარას პროექტისა) უცნობია მისასვლელი გზების და სამშენებლო ბანაკების განთავსების ადგილმდებარეობა, რაოდენობა და მანძილი. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში გზმ ანგარიში არ მოიცავს ანძების ზუსტ რიცხვს; ასევე, მათ განსათავსებლად საჭირო მიწის ნაკვეთის ფართობს. შესაბამისად, კონკრეტულად განხილული და დადგენილი არაა რა მასშტაბისა და სახის ზემოქმედება მოხდება ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოზე.

საველე კვლევების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარვეზები

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას, სათანადოდ არ ტარდება საველე კვლევები, მკვლევარებისთვის ხშირად უცნობია პროექტის დიზაინი და ტექნიკური დეტალები. კვლევისთვის განსაზღვრული დრო კი - არასკამარისია.

ახალციხე-ბათუმის ეგს-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზმ: „მიუხედავად ფრინველების კვლევისთვის დათმობილი დიდი ძალისხმევისა, ვერ მოხერხდა ყველა საკითხის სათანადოდ შესწავლა. საგაზაფხულო კვლევისას გოდერძის უღელტეხილთან ფრინველების გადაფრენა არასათანადოდ იქნა შესწავლილი, რადგანაც თოვლის გამო გადაიდო ამ ტერიტორიის კვლევა“.

საყურადღებოა, რომ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება ძირითადად ეყრდნობა ლიტერატურული მასალის მიმოხილვის შედეგად გადამცემი ხაზის საპროექტო დერეფანში მოქცეული სახეობების არსებობას და

მისასვლელი გზისა და სამშენებლო ბანაკის, ანძის საძირკვლის მოწყობისთან დაკავშირებული ზემოქმედება:



- მცენარეული საფარისგან ტერიტორიის განშენდა;
- ნიადაგის ფენის მოხსნა;
- ტრანსპორტის გადაადგილების შედეგად ცხოველების საბუდარი ადგილების დაზიანება ან განადგურება და გამრავლების პერიოდში მათი შემფოთება.

ნაკლებად სავლელე გასვლების დროს დაფიქსირებულ კონკრეტულ სახეობებს. შესაბამისად, ვერ ხდება გარემოს არსებული მდგომარეობის სრულყოფილად შეფასება.

ქსანი-სტეფანწმინდას ეგზ-ს მშენებლობა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ: „საკვლევ უბანზე (ყაზბეგის ეროვნული პარკის ჩათვლით) არსებობს ხმელეთის ძუძუმწოვრების 64-მდე სახეობის გავრცელების არეალი. ძუძუმწოვართა ამ სახეობებიდან უმეტესობა ცნობილია გამოქვეყნებული ლიტერატურული წყაროებიდან“.

გზმ ანგარიშების შედგენისას ავტორები მათ მიერ უკვე ჩატარებული სხვა პროექტების გზმ ანგარიშებიდან ინერენ ინფორმაციას. ეს კი შეფასების დოკუმენტის მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს და მეტყველებს ავტორების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე გზმ პროცესის მიმართ.

ქსანი-სტეფანწმინდას ეგზ-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ: ანგარიშში პროექტის მოსალოდნელი სოციალური ზემოქმედების შესახებ თავი, რომელიც განსაზღვრავს პროექტის ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე, გადამოწერილია ჯვარი-ხორგას ეგზ-ს პროექტის გზმ დოკუმენტიდან.

შედეგად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტებში სამივე საფეხურზე სრულყოფილად არ ხდება დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

1	⇒ გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური შედეგების შეფასება ⇒ გარემოს არსებული მდგომარეობის შეფასება
2	⇒ გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზი ⇒ მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბების განსაზღვრა
3	⇒ შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა ⇒ საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ შემუშავებული გზმ ანგარიში სრულყოფილად არ შეიცავს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულებით განსაზღვრულ საკითხებს. ამიტომ, სათანადოდ დასაბუთება ვერ მოხდება იმისა, რომ პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს. მიუხედავად ამისა, კვლევისას განხილულ ყველა პროექტზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები ვერ უზრუნველყოფს ეკოლოგიური ექსპერტიზის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობისა და კანონიერების დაცვას.

ელექტროგადამცემი ხაზის პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლება

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა საქმიანობის გზმ-სგან გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვდა საქმიანობის დაწყებას და გადანაცვლების დროულად მიღებას. კანონი არ განმარტავდა, რას ნიშნავს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, რამდენად მოიცავს ის გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კერძო ელექტროსადგურებისათვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, ასევე, ითვალისწინებს საქმიანობის გზმ-სგან გათავისუფლების შესაძლებლობას. ამჟამად, პირი შესაძლოა გათავისუფლდეს გზმ-სგან „საქმიანობის განხორციელებისთვის, რომლის მიზანია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელება“. კანონი განსაზღვრავს რა შემთხვევები უნდა იქნეს განხილული „ფორსმაჟორული სიტუაცია“;

თუმცა პრობლემად რჩება საქმიანობის იდენტიფიცირება, რომლის მიზანია „სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა“.

2011-2016 წლებში გზმ პროცედურისგან, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გათავისუფლდა მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანის 7 პროექტი, მათ შორის, 110 კვ (220 კვ გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქცია, მშენებლობისა და ექსლუატაციის პროექტი“.

დარიალის გადამცემი ხაზის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლების მიზეზი გახდა დარიალ ჰესის ენერგოსისტემაში ჩართვა. გაუგებარია, რამდენად წარმოადგენს ეს საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესს. მით უმეტეს, რომ აღნიშნული ჰესი ექსპლუატაციაში მხოლოდ 2017 წლის გაზაფხულზე შევიდა, გაუგებარია, რას ემსახურებოდა საჯარო განხილვებისგან გათავისუფლება.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე არ დაკმაყოფილდა ერთი განაცხადი, რომელიც ეხებოდა „220 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „დერჩი“-ს რეკონსტრუქციის (ქ/ს წყალტუბო - 220-სა და არსებულ #74 საყრდენს შორის)“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლებას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან ისეთი პროექტების გათავისუფლება, რომელიც ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების, ტყის მასივების, კერძო საკუთრების, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გადაკვეთას და ამ ტერიტორიებზე ანძების განთავსებას, პირველ რიგში, არღვევს ადგილობრივი მაცხოვრებლების უფლებებს, ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია საცხოვრებელი გარემოს შესახებ და მოხდეს მათი ინტერესების გათვალისწინება პროექტის განხორციელებისას. მაგალითად, ყაზბეგის მაცხოვრებელი ზაზა ნიკლაური ადმინისტრაციული საჩივრით ითხოვდა გაუქმებულიყო ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლების აქტი, რადგან ირღვევდა ორჰუსის კონვენციის¹ პირველი მუხლი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება. ამასთან, მნიშვნელოვანია მომხდარიყო პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა, რადგან დარიალის გადამცემი ხაზის გაყვანა ითვალისწინებდა კერძო საკუთრების გადაკვეთას, რაც უშუალოდ ზემოქმედებას მოახდენდა ადგილობრივ მოსახლეობაზე².

ელექტროგადამცემი ხაზის პროექტების განხორციელებისას მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათანადოდ მოხდეს დაინტერესებული მხარეების ჩართვა. საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან არასაკმარისი კომუნიკაციის არსებობა დაინტერესებულ მხარეებთან შესაძლოა გახდეს საპროტესტო დემონსტრაციების, ბოიკოტის, გარემოსთვის ზიანის მიყენებისა და საქმიანობის შეწყვეტის მიზეზი.

! ნარკვევაში განხილულ ყველა მიმდინარე პროექტის მშენებლობას აპროტესტებდა ადგილობრივი მოსახლეობა, რისი განმარტობებელი ერთ-ერთი ფაქტორი იყო საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან პროცესში მათი ჩართულობის ნაკლები უზრუნველყოფა და არასაკმარისი კომუნიკაცია.

¹ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია

² ზაზა ნიკლაური გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ, 2016

საჯარო განხილვა, როგორც ფორმალური პროცესი

განხილული პროექტების შესწავლისას გამოვლინდა საჯარო განხილვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემური საკითხები. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ საქმიანობის განმახორციელებელი არ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების სათანადო ინფორმირებას. შედეგად, ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა მას შემდეგ იგებს პროექტის შესახებ ინფორმაციას, როცა მიმდინარეობს მისი განხორციელება.

ქსანი-სტეფანწმინდას გადამცემი ხაზის საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადება მხოლოდ გამგეობის შენობაში იყო განთავსებული. სნოს ხეობიდან, რომელიც გადამცემი ხაზის პროექტის ზეგავლენის ქვეშ ექცევა, საჯარო განხილვას ესწრებოდა ექვსი ადამიანი, რომლიდანაც ოთხი გამგეობაში მუშაობს. ასევე, ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვაზე, რომელიც ჩატარდა 2016 წლის 16 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, მინველი იყვნენ მხოლოდ ის პირები ვინც წინასწარ მოითხოვა ადმინისტრაციულ წარმომებაში ჩართვა.

გადამცემი ხაზების პროექტების ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე

გადამცემი ხაზების ზემოქმედება ფრინველებზე

კვლევაში განხილული ყველა პროექტი ითვალისწინებს ფრინველების მიგრაციული დერეფნისა და წყალსატევების, ფრინველთა კონსერვაციისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების გადაკვეთას. შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლოა მოხდეს გადამცემ ანძებთან ფრინველების შეჯახება, რაც ხშირად დალუპვით მთავრდება. გარდა ამისა, მშენებლობის ეტაპზეც ფრინველების საბუდარი ადგილების განადგურების რისკი არსებობს, რაზეც მეტყველებს ბიპი-ჯანდარას გადამცემი ხაზის პროექტი, რომლის განხორციელების დროსაც დაფიქსირდა „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობის - ბექობის არწივის (*Aquila heliaca Savigny, 1809*), საბუდარი ადგილის განადგურების ფაქტი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის IUCN-ის მიხედვით, ბექობის არწივის რიცხოვნების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად, სწორედ ჰაბიტატის, საბინადრო გარემოს დაკარგვა განიხილება.

ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და „პრიორიტეტულობის პრინციპი“

გადამცემი ხაზის ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

გადამცემი ხაზების შესწავლილი ექვსი პროექტიდან გამოიკვეთა, რომ ყველა მათგანი კვეთს ან ახლოს გადის დაცული ტერიტორიის საზღვართან, აგრეთვე - ღირებულ ბუნებრივ ლანდშაფტს, რომელიც სამომავლოდ შესაქმნელი დაცული ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიის სისტემის შესახებ“ განსაზღვრავს, რომ დაცული ტერიტორიის შემცირება ან დაცვითი კატეგორიის დაქვეითება შესაძლებელია მხოლოდ დაცული ეკოსისტემების კატასტროფული და შეუქცევადი რღვევისას, ბიომრავალფეროვნების აღდგენის მიზნით სამუშაოების ჩატარების აუცილებლობისას და დაცული ტერიტორიის საზღვრების დემარკაციის განხორციელების შემდეგ. შესაბამისად, არ შეიძლება ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის განხორციელების გამო მოხდეს დაცული ტერიტორიიდან ფართობის ამორიცხვა. თუმცა, არსებობს პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ენერგეტიკასთან დაკავშირებული პროექტების გამო, დაცული ტერიტორიიდან ფართობების ამორიცხვას. მაგალითად, დარიალის გადამცემი ხაზის რამდენიმე ანძა განლაგებულია ყაზბეგის ეროვნული პარკიდან ამორიცხულ ტერიტორიაზე.

„პრიორიტეტულობის პრინციპის“ გამოყენების კარგი პრაქტიკა შავი ზღვის გადამცემი ხაზის პროექტის ფარგლებში

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მე-5 მუხლი ითვალისწინებს „პრიორიტეტულობის პრინციპს“, რაც გულისხმობს, ნაკლებრიკიანი და ძვირადღირებული ქმედებით იმ ქმედების შეცვლას, რომელიც მეტ ბიანს აყენებს გარემოს (გარდა იმ შემთხვევისა თუ მისი ღირებულება აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით ეკოლოგიური ბიანის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების ხარჯებს).

ეს პროექტი გამოირჩევა იმით, რომ განსახორციელებლად შერჩეული მარშრუტი ითვალისწინებდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ქცია-ტაბანყურის, გარდაბნის დაცული ტერიტორიების გადაკვეთას. განსაკუთრებით,

პრობლემური კი იყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული-პარკის ტყის საფარის გადაკვეთა. ადგილობრივი ჯგუფებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ადვოკატირების კამპანიის შედეგად მოხდა მეოთხე ალტერნატიული მარშრუტის შერჩევა, რომელსაც ყველაზე ნაკლები ზეგავლენა ექნებოდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტყის საფარზე. ევროკავშირის დელეგაციამ დამატებით გამოყო თანხა (3 მლნ. ევრო), რის შედეგადაც, საქმიანობის განმახორციელებელი დათანხმდა არსებულ შემოთავაზებას და პროექტი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნაკლები ზემოქმედების - მეოთხე ალტერნატიული მარშრუტით განხორციელდა, რაც „პრიორიტეტულობის პრინციპის“ დაცვის კარგი მაგალითია.

გადამცემი ხაზების პროექტების ზემოქმედება ტყის საფარზე

გადამცემი ხაზების პროექტებთან და ტყის საფართან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის განხილვა

გადამცემი ხაზის პროექტები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ მცენარეულ საფარზე, რაც გულისხმობს ხე-ტყის პირწმინდად ჭრას, ან გადამცემი ხაზის დერეფანში მცენარეული საფარის მუდმივ კონტროლოს 6-8 წელიწადში ერთხელ, რათა გამოირიცხოს ხანძრის საშიშროება და არ მოხდეს გადამცემი ხაზების მუშაობის შეფერხება.

საქართველოს მთავრობის დადგენილებები „საქართველოს ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ითვალისწინებს სახელმწიფო ტყის ფონდიდან ფართობის ამორიცხვასა და სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობას.

„საქართველოს ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ დადგენილებით განსაზღვრულია, რომ ტყის ფონდის საზღვრის კორექტირება, ამორიცხვის შედეგად შესაძლებელია ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის წყალმომარაგებასა და ენერჯეტიკასთან. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით კი - სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა ხორციელდება სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისთვის, ასევე 30 გრადუსის დაქანების ფერდობზე დასაშვებია სპეციალური ჭრების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ განსაზღვრავს, რომ ელექტრული ქსელის მფლობელ პირს ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში, მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, მისასვლელი გზების, ხიდების და სხვა ნაგებობის მოწყობის, განაკაფების ზოლის დასაცავად შეუძლია აწარმოოს ხეებისა და ტოტების მოჭრის სამუშაოები. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ გადამცემი ხაზის დაცვის ზონებს, განაპირა სადენიდან ორივე მხარეს ქვემოთ ჩამოთვლილ მანძილებზე უნდა განხორციელდეს ხე-ტყის ჭრა:

- 330,400,500 კვ ხაზისთვის - 30 მეტრი;
- 150,220 კვ ხაზისთვის - 25 მეტრი;
- 110 კვ ხაზისთვის - 20 მეტრი;
- 35 კვ ხაზისთვის -15 მეტრი;
- 1 კვ-მდე ხაზისთვის- 20 მეტრი.

გადამცემი ხაზის პროექტების შედეგად ამორიცხული ტყის ფართობები

2000-2016 და 2017 წლის მასშტაბით ეგბ-ს პროექტებით განხორციელებასთან დაკავშირებით ეროვნული სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხული ფართობების ჯამური რიცხვი შეადგენს 953.621 ჰექტარს.

ქსანი-სტეფანწმინდასა და ჯვარი-ხორგას ეგბ-ს მშენებლობისთვის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება (ხე-ტყის ჭრის უფლებით) გაიცა შემდეგი მიწის ფართობებზე:

- ქსანი-სტეფანწმინდა - 93.1527 (ჰა), საიდანაც განხორციელდა „წითელი ნუსხით“ დაცული სხვადასხვა სახეობის 895 ერთეულის ამოღება;
- ჯვარი-ხორგა - 38.5975 (ჰა), საიდანაც განხორციელდა „წითელი ნუსხით“ დაცული სხვადასხვა სახეობის 485 ერთეულის ამოღება.

- საქართველოს მთავრობის განკარგულებით შესაბამისად „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ნებართვა მისცეს გარემოდან „ნითელი ნუსხის“ სახეობის 3966 ერთეულის ამოღებაზე.

გადამცემი ხაზების პროექტების ზეგავლენა სოციალურ გარემოზე

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები

დღეისათვის, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ელექტროგადამცემი ხაზების მიერ წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ველის ნეგატიური ზემოქმედებისაგან ადამიანების დაცვას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით რეგულირდება მხოლოდ ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების ზონაში მომუშავე-მომსახურე პერსონალის შრომის პირობების სანიტარიული წესები და ნორმები³. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში საქმიანობის განმახორციელებლის ძირითადი არგუმენტი, რომ არსებული პროექტები მოსახლეობისთვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, არის „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში დაფიქსირებული მანძილები:

- 330, 400, 500 კვ ძაბვის გადამცემი ხაზის დაცვის ზონა განაპირა სადენებიდან - 30 მ;
- 150, 220 კვ ძაბვის შემთხვევაში -25 მეტრი⁴.

თუმცა, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმები წარმოადგენს გადამცემი ხაზის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისთვის დადგენილ მანძილს და არ შეიძლება განვიხილოთ გადამცემი ხაზის მახლობლად ელექტრომაგნიტური ველისაგან მაცხოვრებლების დაცვის ზონად.

2003 წლის მიღებული საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავდა ელექტროგადამცემი ხაზისგან წარმოქმნილი ელექტრული ველის გავლენისგან მოსახლეობის დაცვის სანიტარიულ ზონებს, ელექტროგადამცემი ხაზების ღერძიდან დასახლებულ პუნქტამდე უახლოეს მანძილს, რომელიც უნდა ყოფილიყო არანაკლებ:

- 250 მეტრი - 500 კვტ-750 კვტ-მდე ძაბვის ხაზებისთვის;
- 300 მეტრი - 1150 კვტ-მდე ძაბვის ხაზებისთვის.

ეს ბრძანება 2007 წელს გაუქმდა, ამიტომ დღეისთვის არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს საცხოვრებელი ადგილებიდან გადამცემი ხაზის განთავსების მანძილს ადამიანების ჯანმრთელობაზე ელექტრომაგნიტური ველის მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისთვის.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხები

ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების განხორციელებისას მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მაცხოვრებლების საკუთრების უფლების შეზღუდვა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკუთრება და შემკვიდრეობის უფლება ადვიარებული და ხელშეუვალია, თუმცა, შესაძლოა, შეიზღუდოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში (მუხლი 21).

საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, განსაზღვრავს იმ საქმიანობებს, რომლებიც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ითვალისწინებს საკუთრების ჩამორთმევას. მათ შორის, არის ელექტროენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობა.

³ „ელექტროსტატიკური, სამრეწველო სიხშირის ელექტრული და სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების ზონაში მომუშავე-მომსახურე პერსონალის შრომის პირობების სანიტარიული წესები“, 2002

⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №366 „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“, 2013

გადაცემი ხაზების ზემოქმედება ოჯახებზე შესაძლოა იყოს ძლიერი, როდესაც ისინი სამუდამოდ კარგავენ საკუთარ მიწას სრულად, ან მის გარკვეულ ნაწილს (ნაყოფიერი მიწის 10%-ზე მეტს) და ნაწილობრივი - როდესაც შეზღუდვები უწესდებათ მიწის ნაკვეთების გამოყენებასთან დაკავშირებით და ეკრძალებათ ხე-მცენარეების გაზრდა, ნაგებობების მშენებლობა/განთავსება.

მიმდინარე პროექტების განსახლების სამოქმედო გეგმის თანახმად, ბათუმი-ახალციხის, ჯვარი-ხორგას, ქსანი-სტეფანწმინდას პროექტების განხორციელების შედეგად ზემოქმედება მოხდება 2041 ოჯახზე, საიდანაც 169 ოჯახი სამუდამოდ დაკარგავს ნაყოფიერი მიწის 10%-ზე მეტს, ხოლო ფიზიკური გადასახლება მოუწევს 42 ოჯახს. გადამცემი ხაზის პროექტების ზეგავლენის ქვეშ შესაძლოა მოექცეს ტრადიციული სარგებლობის მიწები, რომლებიც ადგილობრივ მაცხოვრებლების არარეგისტრირებულ საერთო საკუთრებას წარმოადგენს და გამოიყენება სათემო ინტერესების შესაბამისად, მაგალითად, საძოვრებად. ეგხ-ს პროექტების განხორციელებამ ტრადიციული სარგებლობის მიწებზე შესაძლოა გამოიწვიოს მაცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვან რესურსზე ხელმისაწვდომობის დაკარგვა.

იძულებით განსახლებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა ახალციხე-ბათუმის პროექტის მაგალითზე

ხიხანის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი წინააღმდეგია ფიზიკური განსახლების, სასურველი კომპენსაციის მიღების შემთხვევაშიც კი, რადგან მათთვის მიუღებელია საცხოვრებელი ადგილის დატოვება. მაგალითად, ერთ-ერთმა მცხოვრებმა, რომელიც განთავსებული ანძის უშუალო სიახლოვეს ცხოვრობს საკუთარ ეზოს შემოავლო წითელი ლენტები, იმის ნიშნად, რომ არ აპირებს საკუთარი საცხოვრებლის მიტოვებას.




ძირითადი პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროგადამცემი ხაზების პროექტებით გამოწვეულ იძულებით განსახლებასთან	
არასაკმარისი ინფორმაცია საკომპენსაციო ვარიანტების შესახებ	მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის თანახმად, ის პირები, რომელთაც უწევთ განსახლება ინფორმირებული უნდა იყვნენ დაკარგული ქონების საკომპენსაციო ვარიანტების (ალტერნატიული მიწა ან საცხოვრებელი) შესახებ. ხიხანის ქუჩაზე მცხოვრებთა განცხადებით, კომპენსაცია ხდება მხოლოდ თანხით, შესაბამისად განხილული არაა საკომპენსაციო ვარიანტები.
საკომპენსაციო თანხის გაცემა	მიუხედავად იმისა, რომ პროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის თანახმად, კომპენსაციის თანხის გადახდა უნდა უზრუნველყოთ განსახლებისა და მშენებლობის პროცესის დაწყებამდე, პროექტი ისე ხორციელდება, რომ მოსახლეობის ნაწილს საკომპენსაციო თანხა არ მიუღია.
არასაკმარისი საკომპენსაციო თანხა	მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის მიხედვით, უნდა მოხდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის პროექტამდელი ცხოვრების პირობების სტანდარტების შენარჩუნება საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო პირობებით. მოსახლეობის განცხადებით, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ შეთავაზებული საკომპენსაციო თანხა მიწის ნაკვეთის 1მ2-ზე მერყეობს 7-23 ლარამდე მიწის ნაკვეთის მდებარეობიდან და მასზე განლაგებული ქონების ღირებულების შესაბამისად. ხიხანის ქუჩის მაცხოვრებელთა განცხადებით, ხიხანის ქუჩაზე 1 მ2 მიწის ნაკვეთის ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე კომპანიის მიერ მათთვის შეთავაზებული თანხაა. აქედან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ შეთავაზებული თანხა მათთვის მიუღებელი და არასაკმარისია საცხოვრებელი პირვანდელი მდგომარეობის არათუ შენარჩუნებისთვის, არამედ გაუმჯობისთვის.
სასოფლო-სამეურნეო დაკარგვა	გადამცემი ხაზის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. მათი თქმით, სოფლის მეურნეობის მიწების ჩამორთმევა მათი საარსებო წყაროს დაკარგვის ტოლფასია. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სს „საქართველოს სახელწიფო ელექტროსისტემას“ 220 კვ-იანი ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენი ანძების განსათავსებლად ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ჯამში 19 ოჯახის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე.

რეკომენდაციები

ვთვლით, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს გადამცემი ხაზების პროექტების განხორციელების დროს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნაკლებ ზემოქმედებას, ასევე შეამცირებს მოსახლეობასა და საქმიანობის განმახორციელებს შორის კონფლიქტს.

- საქმიანობის განმახორციელებელმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადრეული ეტაპიდან;
- საჭიროა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის დროს სათანადოდ განხორციელდეს კვლევები, განისაზღვროს ზემოქმედების ყველა ობიექტი, ნყარო და სახე, რათა სრულყოფილად შეფასდეს მოსალოდნელი რისკები;
- მოხდეს საპროექტო ალტერნატიული მარშრუტების დასაბუთება და განხილვა, რაც უზრუნველყოფს პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას;
- ნებართვის გამცემმა ორგანომ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურები ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან პროცედურის გათავისუფლება მოხდეს დასაბუთებულად, რათა არ დაირღვას ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის გარემოსდაცვითი და სოციალური ინტერესები;
- საჭიროა, შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელოს საფუძვლიანი მონიტორინგი, რათა არ მოხდეს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელება;
- გადამცემი ხაზების პროექტების განხორციელებისას მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ან აცილებული იძულებითი განსახლება, საკუთრების უფლების შეზღუდვა; ხოლო, განსახლების აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს სამართლიანი კომპენსაცია, რათა მოსახლეობამ შეძლოს პირვანდელი საცხოვრებელი პირობების აღდგენა და გაუმჯობესება.
- მნიშვნელოვანია, დაკარგული ქონების კომპენსაცია მოხდეს იმ პირობებისთვისაც, რომელთაც არ გააჩნიათ დარეგისტრირებული საკუთრება;
- აუცილებელია, შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები, რომლითაც განისაზღვრება გადამცემი ხაზების განთავსების ადგილი მოსახლეობისთვის უსაფრთხო მანძილზე. ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებამდე საჭიროა სახელმწიფომ იხელმძღვანელოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელო რეკომენდაციებით „წინდახედულობის“, „სიფრთხილის“ პრინციპების შესაბამისად;
- შემუშავდეს და სამართლებრივი აქტებით დამტკიცდეს ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისას ფრინველებზე ზემოქმედების პრევენციის საკითხები (შეჭახებისა და დენის დარტყმისგან დასაცავად), ადგილობრივი სახეობების სპეციფიკის გათვალისწინებით.



დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „ენერჯეტიკისა და წიაღით სარგებლობის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნას ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებათა ამსახველად.

კვლევის ავტორი: თინათინ არველაძე

რედაქტირება: ნინო გუჯარაიძე



თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ.: 222 38 74;
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG